სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/20

ქ. თბილისი 31 01 2020 წ.

დოქტორანტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2020 წლის 6 იანვრის №1.1/1 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 8 იანვრის N 01-05-04/07 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (2020 წლის 22 იანვრიდან 5 თებერვლის ჩათვლით) განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020 წლის 11 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე შაბათ-კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი; ოთახი N325);

2. დოქტორანტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის დოქტორანტურის დეპარტამენტის უფროსს დ.ბიბილეიშვილს;

3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა მოამზადონ მოტივირებული დასკვნები (დანართი 2) არსებული წესის თანახმად არაუგვიანეს 2020 წლის 19 თებერვლისა;

5. 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დოქტორანტთა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენა უზრუნველყოს დოქტორანტურის დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2020 წლის 20 თებერვლისა;

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს ზ.გასიტაშვილს;

7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი

დანართი 1.

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
3. წინა საფეხურის დიპლომის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ასლი;
4. პირად საქმეში არსებული ყველა ბრძანების (პირველადი ჩარიცხვის; სტატუსის შეჩერების/ აღდგენის/ შეწყვეტის) დამოწმებული ასლები;
5. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის).
6. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში)

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რექტორის მოადგილე სამეცნიერო
დარგში_____ ზ.გასიტაშვილი

დასკვნა

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტთა გადმოყვანა-მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:	
სახელი და გვარი:	
სტუდენტის პირადი ნომერი:	
განათლების საფეხური:	❑ დოქტორანტურა
ინფორმაცია გამომშვები უმღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ:	
გამომშვები უსდ-ს დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
უსდ-ში სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:	
ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
მიმღები ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით	სასწავლო კურსის მოცულობა,	შეფასება	სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების	სასწავლო კურსის მოცულობა,

სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში შესწავლილი საგნების ჩამონათვალი	ECTS კრედიტი	აკადემიური საათი		ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	ECTS კრედი-ტი	აკადემიური საათი

გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ:

სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში შესწავლილი საგნების რაოდენობა:	
სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ -ს მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	

დასკვნა:

❑ რეკომენდირებულია გადმოყვანა ❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდირებული

შენიშვნა

ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი

№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი

	სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:	

დოქტორანტურის დეპარტამენტის უფროსი: _____ _____

ხელმოწერა

დ.ბიბილეიშვილი

ფაკულტეტის დეკანი: _____ _____

ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: _____ _____

ხელმოწერა